გრიგოლ ტყაბლაძე

გრიგოლ ტყაბლაძე ოზურგეთში, 1907 წლის 20 ნოემბერს ხელოსნის ოჯახში დაიბადა. საშუალო განათლება ჭიათურის შრომის სკოლაში მიიღო. სწავლასთან ერთად მუშაობდა ჭიათურის შავი ქვის წარმოებაში.

1926 წლიდან მან მუშაობა დაიწყო ჭიათურის სახელმწიფო თეატრში სცენის თანამშრომლად, რამდენიმე წლის შემდეგ იგი უკვე თეატრის მსახიობად ჩაირიცხა. 1952 წელს გრ. ტყაბლაძე ქუთაისის თეატრში გადავიდა, ხოლო ერთი წლის მერე კი კვლავ ჭიათურის თეატრს დაუბრუნდა. გრ. ტყაბლაძე ყველა თეატრში წამყვანი მსახიობი იყო და ასახიერებდა სახასიათო როლებს, მათ შორის აღსანიშნავია მასხარა - „თამარ ცბიერი“, სოლეიმან ხანი - „ღალატი“, კოწია - „გუშინდელნი“, გელა - „ხევისბერი გოჩა“, ღვთისი - „ბაში-აჩუკი“, ლევან კრეჭიაშვილი - „ელეონორა“, პროხორი - „ვასა ჟელეზნოვა“, შმაგი - „უდანაშაულო დამნაშავენი“, ფიოდორ ალექსანდროვი - „ასეც იქნება“, ტრისტანი - „თივა და ავი ძაღლი“ და სხვა.

გრ. ტყაბლაძემ საინტერესო, მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი როლები შექმნა ქართულ კინემატოგრაფიაშიც. - გრ. ტყაბლაძემ 1934 წელს რეჟისურაშიც სცადა ბედი და განახორციელა შემდეგი დადგმენბი - „კომბლე“, „რკინის პერანგი“, „მესხეთის მიწაზე“, „გამახარე“, „იავნანამ რა ჰქნა“, „განთიადი“, „სანაპიროზე“ და სხვა.
იგი პარალელურად აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. 1939 წელს ჭიათურის სარაიონო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.
გრ. ტყაბლაძე 1945 წელს სარეჟისორო კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებით მოსკოვში გაემგზავრა. 1950 წელს, ქართული თეატრის აღორძინების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გრ. ტყაბლაძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1961 წელს კი საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. ქართველმა ხალხმა იგი ჭიათურის საუკუნის საუკეთესო მსახიობად აღიარა.
დაჯილდოებულია მედლით „მამაცური შრომისთვის დიდ სამამულო ომში 1941-1945 წწ.“ 1946 წელს მიღებული აქვს საპატიო სიგელები.

გრ. ტყაბლაძე 1980 წლის 28 მარტს 72 წლის ასაკში ჭიათურაში გარდაიცვალა.

გრიგოლ ტყაბლაძის ბიოგრაფიული, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. გრიგოლ ტყაბლაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი
   1938 წ. 15 თებერვალი. ჭიათურა. სტამბური. ხელით შევსებული. 4 გვ.

2. გრ. ტყაბლაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1939 წ. 7 ივლისი. ჭიათურა. სტამბური. ხელით შევსებული. ერთვის ფოტო. 4 გვ.

3. გრ. ტყაბლაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1940 წ. 21 თებერვალი. სტამბური. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

4. გრ. ტყაბლაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1941 წ. 21 თებერვალი. სტამბური. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

5. გრ. ტყაბლაძის ავტობიოგრაფია.
   1942 წ. 21 თებერვალი. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

6. გრ. ტყაბლაძის სარეჟისორო გეგმა, ი. ვსევოლოჟსკისა და დ. რუდნევის პიესის „მკაცრი დროების“ მიხედვით.
   1943 წ. 19 სექტემბერი. ჭიათურა. ავტოგრაფი. მელანი. 12 გვ.

7. გრ. ტყაბლაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1950 წ. 20 ნოემბერი. ჭიათურა. სტამბური. ხელით შევსებული. მელანი. ერთვის ფოტო. 4 გვ.

8. გრ. ტყაბლაძის ავტობიოგრაფია.
   1950 წ. 17 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

9. ჭიათურის თეატრის მსახიობების გრ. ტყაბლაძისა და მიხეილ ვაშაძის შემოქმედებითი საღამოს სტენოგრამა.
   პირი: როდიონ ქორქია, ეთერ დავითაია, მარგარიტა გოგოლაშვილი, პავლე ფრანგიშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, აკაკი ფაღავა, პიერ კობახიძე, გრიგოლ ბუხნიკაშვილი, დავით ჩხეიძე, გივი გოგიჩაიშვილი, მიხეილ გიჟიმყრელი.
   1954 წ. 20 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. აკინძული წიგნის სახით. 66 გვ.

10. გრ. ტყაბლაძისა და მიხ. ვაშაძის შემოქმედებითი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
    1954 წ. 20 აპრილი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

11. მარგარიტა გოგოლაშვილის მოხსენება გრ. ტყაბლაძის საიუბილეო საღამოს გამართვასთან დაკავშირებით.
    1954 წ. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 21 გვ.

12. საქართველოს კულტურის სამინისტროს მოადგილე აკაკი დვალიშვილის მიმართვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, გრ. ტყაბლაძის დაბადებიდან 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამოს გამართვასთან დაკავშირებით. მიმართვას ერთვის გრ. ტყაბლაძის დასტური შემოქმედებითი საღამოს ჩატარების შესახებ.
    1967 წ. 31 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

13. გრ. ტყაბლაძის შემოქმედებითი საღამოს მოსაწვევი ბარათი, დაბადებიდან 60 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით.
    1967 წ. 7 მაისი. ჭიათურა. სტამბური. 1 ც. 2 ეგზ.

14. გრ. ტყაბლაძის ავტობიოგრაფია.
    უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

15. გრ. ტყაბლაძის დახასიათება გაცემული ჭიათურის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექციის მიერ
    უთარიღო. ნაბეჭდი. ხელს აწერს თეატრის ხელმძღვანელი - პ. ფრანგიშვილი. 2 გვ.